კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018 წ. – 2024 წ.

დოკუმენტის სტრუქტურა:

1. შესავალი
2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია
3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვა
4. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის SWOT ანალიზი
5. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია 6. სტრატეგიული განვითარების გეგმა (7 წლიანი) დანართი 1. უნივერსიტეტის საჭიროებების ანალიზი (2017 წელს ჩატარებული კვლევა)

შესავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თავისი მისიისა და ხედვის შესაბამისად სახავს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ემყარება უნივერსიტეტის საქმიანობის 22 წლიან გამოცდილებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას (2017წ-2021წ), ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითად სარეკომენდაციო დოკუმენტებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და წამყვანი ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებას. დოკუმენტი, ასევე, ეფუძნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებისა და კვლევის ანალიზს. უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ემყარება ბოლო 10 წლის განმავლობაში ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებს, პროგრამული აკრედიტაციების გარე ექსპერტთა დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გაკეთებულია წინა ავტორიზაციის საანგარიშო პერიოდში. დოკუმენტის მომზადებისას გათვალისწინებულია ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის საბჭოების განხილვის ოქმები და ცენტრის რეკომენდაციები. ამასთან, მას საფუძვლად დაედო დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ 2017 წლის შემოდგომაზე ჩატარებული საჭიროებების კვლევა, 2018 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიისა და მექანიზმების შესახებ ფოკუსირებული დისკუსიები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან; გამოყენებული იქნა უნივერსიტეტის ბოლო ორი წლის (ყოველწლიური) ანგარიშები, საბიუჯეტო დოკუმენტები, გეგმები და სხვა.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვისა და განახლების მიზნით 2017 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და მოწვეული კონსულტანტების მონაწილეობით. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის განახლებული სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა 2018 წლის მარტში, უნივერსიტეტის კანცლერის მიერ (კანცლერის ბრძანება #01-21, 20.03.2018).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვა:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას.

უნივერსიტეტის SWOT ანალიზი

<u>ძლიერი მხარეები:</u>

- ✓ უნივერსიტეტის ისტორიული განვითარების ლოგიკურობა და პერსპექტიულობა გამოიხატება ახალი აკადემიური პროგრამების შემუშავებასა და მათი წარმატებით განხორციელებისათვის ადეკვატური ინფრასტრუქტურის განვითარებაში;
- ✓ უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის დადგენილი ხელმისაწვდომი სწავლის საფასური და მისი გადახდის გრაფიკი, რაც სრულად ასახავს სტუდენტების, საზოგადების მოლოდინს და შეესაბამება გადახდისუნარიანობას.

- ✓ უნივერსიტეტის გეგმიურად განვითარებადი ინფრასტრუქტურა - ახალი სასწავლო და სამეცნიერო კორპუსები, კაბინეტები, თანამედროვე დიზაინითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, სასაწავლო მასალები;
- ✓ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა - იტალიის, ესპანეთის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და მათ კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო კავშირის განვითარება;
- ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისადმი ბონუს სისტემის გამოყენება, რაც განსაზღვრავს ბაზართან მიმართებაში მაღალ ანაზღაურებას;
- ✓ სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნება - სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება; მათთვის დაწესებული წამახალისებელი სოციალური დახმარების პროგრამები;
- ✓ უნივერსიტეტის განვითარების მზაობა და მისი ფინანსური უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ ინიცირებული პროექტებისა და წინადადებების განხორციელებაში;
- ✓ მეცნიერების ხელშეწყობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, საერთაშორისო პროფესიულ გაერთიანებების წევრობითა და უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სამეცნიერო წამახალისებელი წლიური პრემიით - „ თამარი“;
- ✓ სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე ინფორმაციული სისტემა, რაც გამოიხატება უნივერსიტეტში „გონის“ სისტემის დანერგვასა და მუდმივ განახლება/მხარდაჭერაში;
- ✓ თანამედროვე საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა;
- ✓ უნიკალური ქართული ღვინის კვლევის ცენტრი - გამოიხატება კვლევითი რესურსების მობილიზაციასა და მრავალფეროვანი საცდელი ლაბორატორიების შექმნაში, რაც თვისებრივად ინოვაციური მიდგომაა ქართული ღვინის ტექნოლოგიების განვითარებაში;
- ✓ უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებით განახლებული ლაბორატორიები და სასწავლო ოთახები;
- ✓ მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მულტიმედია ცენტრი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების მზარდ მოდერნიზაციას,

დისტანციური სწავლების ხელშეწყობასა და მის ადაპტირებას უახლოეს მომავალში;

- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კადრების განახლება და კურსდამთავრებულთა მოზიდვა;
- ✓ სტუდენტების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა - სპორტის სხვადასხვა სახეობებსა და კლუბებში მათი აქტიური ჩართვა.

<u>სუსტი მხარეები</u>

- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში დაბალი ცნობადობა;
- ✓ იმიჯისა და ბრენდირების საშუალო დონე;
- ✓ სტუდენტური საერთო საცხოვრებლის უქონლობა;
- ✓ გასაუმჯობესებელი საუნივერსიტეტო რეკრეაციული ზონები;
- ✓ სტუდენტური თავისუფალი სივრცეების სიმწირე;
- ✓ ბიბლიოთეკის შენობა;
- ✓ ინგლისურენოვან პროგრამებზე უცხოელი აკადემიური პერსონალის ნაკლებობა;
- ✓ უცხოელი სტუდენტების ადგილობრივ სოციუმთან ინტეგრაციის პროგრამების სიმწირე;
- ✓ სტუდენტთათვის მომსახურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპის არ არსებობა (ერთიანი სტუდენტური სერვის სივრცე);

<u>განვითარების შესაძლებლობები</u>

- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება - ახალი პროგრამების შემუშავება;
- ✓ მზარდი პროფესიული პოტენციალის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვა ქვეყნის შიგნითა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან;
- ✓ პროფესიულ და ბიზნეს გაერთიანებებში აკადემიური და სტრუქტურული ერთეულების გაწევრიანება;

- ✓ რეფერირებულ ჟურნალებში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა;
- ✓ უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- ✓ საბიბლიოთეკო თანამედროვე სივრცის მოწყობა და მისი სერვისების განვითარება;
- ✓ არქივის მოდერნიზაცია;
- ✓ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის სამუშაო სივრცეების მოწყობა;
- ✓ ტექნოლოგიების განახლება;
- ✓ დისტანციური სწავლების ელემენტების დანერგვა და ხელშეწყობა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სივრცეების და სერვისების გაუმჯობესება;
- ✓ პერსონალის კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა;
- ✓ კურსდამთავრებულებთან ეფექტური კავშირი;

<u>რისკები</u>

- ✓ სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება;
- ✓ სახელმწიფოს საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ეროვნული ვალუტის შესაძლო დევალვაცია;
- ✓ რეგულირებადი პროგრამების (მედიცინა) სტუდენტებისთვის მშობლიურ ქვეყნებში დამატებითი პროფესიული გამოცდებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების გამკაცრება;

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმარების/გეგმის განახლების ეტაპები:

- მოსამზადებელი ეტაპი

მოსამზადებელი ეტაპი გულისხმობს სამუშაო ჯგუფის ფორმირებას, რომლის მუდმივი წევრებიც არიან:

- ✓ უნივერსიტეტის რექტორი;
- ✓ აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი; ✓ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი;
- ✓ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

რექტორის გადაწყვეტილებით ხდება ჯგუფის კოორდინატორის დანიშვნა. მუდმივი წევრების გარდა, პროცესში, სხვადასხვა ეტაპზე, საჭიროებისამებრ, ერთვებიან უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები.

- კვლევის ეტაპი

კვლევის ეტაპი გულისხმობს, ერთის მხრივ, განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიისა და სხვა დამხმარე დოკუმენტების, რეკომენდაციების შესწავლას, საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკების გაზიარებას, ხოლო მეორეს მხრივ, უნივერსიტეტში მიმდინარე მდგომარეობის, განვითარების საჭიროებების დადგენის, არსებული სტრატეგიით გათვალისწინებული ქმედებების შედეგების შეფასებასა და გაუმჯობესების სფეროების დადგენას. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მუდმივი წევრები ახორციელებენ შემდეგ ქმედებებს:

- ✓ სტანდარტების, რეკომენდაციებისა და სხვა დამხმარე დოკუმენტაციის შესწავლა;
- ✓ სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები ფაკულტეტების დეკანებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან,

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სხვა პირებთან; დასკვნის ჩამოყალიბება უნივერსიტეტის საჭიროებებთან დაკავშირებით;

- ✓ გარემოსა და ტენდენციების შესწავლა, პარტნიორების განვითარების გეგმების გათვალისწინება და მათთან ერთად პოტენციურ სერვისებზე მსჯელობა; ინოვაციური მიდგომების, მეთოდების შემუშავება;

- დასკვნითი ეტაპი

  აღნიშნული ეტაპის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი ამზადებს დასკვნას სტრატეგიული განვითარების მიმართულებებთან დაკავშირებით. მზადდება დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც წინასწარ უთანხმდება შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

- სტრატეგიული გეგმის დამტკიცება

  სტრატეგიული გეგმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

- შესრულების მონიტორინგის ეტაპი

  შესრულების მონიტორინგის ეტაპი გულისხმობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. ამ მიზნით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. ჯგუფის წევრები არიან:

  - ✓ ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი;
  - ✓ ფინანსური აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი;
  - ✓ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი;

აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ოთხჯერ, რექტორის მიერ დადგენილი განრიგით.

ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით განსახილველად წარდგენილი იქნება კანცლერთან და აკადემიურ საბჭოსთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ახდენენ შესაბამის რეაგირებას.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების

შვიდწლიანი გეგმა

შვიდწლიანი გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის განვითარებასა და შემდგომ სრულყოფას 5 ძირითადი მიმართულებით: საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტური სერვისების განვითარება, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება, ქვეყანაში სამეწარმეო ეკოსისტემის მხარდაჭერა.

- სტრატეგიული მიმართულება: საგანმანათლებლო საქმიანობა
    - ორმაგი ხარისხის ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარება; ○ ახალი პროგრამების განვითარება; ○ ზრდასრულთა განათლების პროგრამების განვითარება; ○ სეზონური სკოლების ამოქმედება; ○ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დროებითი საერთაშორისო მობილობის გაზრდა;
    - დისტანციური სწავლების მექანიზმების მომზადება და ამ კულტურის დანერგვა;

- მულტიმედია ცენტრის ჩართვა ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვაში;
- სოციალურ-პოლიტიკურ, საკანონმდებლო და კულტურულ პროცესებთან საზოგადოებრივი რეგულაცია.

- სტრატეგიული მიმართულება: სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა

  - სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - ფუნდამენტური, ინოვაციური კვლევების მხარდაჭერა და გამოყენებითი კვლევების განვითარება;

- სამეცნიერო ფონდებში განაცხადების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის თანადაფინანსებით;
- ახალი სადოქტორო პროგრამები (მედიცინისა და ქართული მეღვინეობის მიმართულებით);
- ერთობლივი სამეცნიერო გრანტები (ღვინის წარმოებასა და ტექნოლოგიებში, პოლიტიკურ მეცნიერებებში, ბიზნესსა და მედიცინაში);
- ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ჩართვა მეცნიერებაში; ○ სამეცნიერო საქმიანობის წახალისება - პრემია „თამარი"; ○ სამეცნიერო ფონდის შექმნა და ამოქმედება; ○ საერთაშორისო კონფერენციების ინიცირება და განხორციელება; ○ მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა; ○ კვლევების კომერციალიზაცია, ეკონომიკურ აგენტებათან თანამშრომლობის გაძლიერება ;
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განხორციელება;
- ინტერ-დისციპლინური კვლევების ხელშეწყობა; ○ კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის დახვეწა და განხორციელება
- სამეცნიერო პორტალის ეფექტიანი ფუნქციონირება ინფორმაციის საჯაროობის, სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავების და ინტერდისციპლინური კვლევებისთვის საჭირო კავშირების დამყარების ხელშეწყობის მიზნით;
- სტუდენტების ინტერესის გაზრდა სამეცნიერო საქმიანობისადმი, მათი კვლევითი უნარ-ჩვევების გაძლიერება და საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა; ყოველწლიური სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციის ხარისხის ამაღლება;
- მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

- სტრატეგიული მიმართულება: ინტერნაციონალიზაცია

- ○ სტუდენტთა მოზიდვა: ახლო აღმოსავლეთიდან, მეზობელი ქვეყნებიდან, დსთ-ს ქვეყნებიდან, ირანიდან, ინდოეთიდან და პაკისტანიდან, აფრიკის ქვეყნებიდან

  აკადემიური პერსონალის მოზიდვა: ამერიკის, ევროპისა და ჩინეთის უნივერსიტეტებიდან;
- ○ ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებთან პარტნიორობა; ○ პარტნიორ ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის პროგრამებზე საერთაშორისო და ქართველი სტუდენტების მობილობა;
- ○ კვლევების ინტერნაციონალიზაცია;
- ○ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებზე განხორციელებული კვლევების გაფართოება;
- ○ საუნივერსიტეტო და დარგობრივ ასოციაციებში მონაწილეობა და გაწევრიანება;
- ○ საუნივერსიტეტო ინტერ-კულტურული ცხოვრების ხარისხის ამაღლება და ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაცია;
- ○ მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის ბაზაზე ქართული ‘რთველის’ ყოველწლიური ღონისძიების ჩამოყალიბება და დანერგვა.

- სტრატეგიული მიმართულება: სტუდენტური სერვისების განვითარება და მათი ცხოვრების გამრავალფეროვნება.

  - ○ სტუდენტებს შორის კულტურათა დიალოგის განვითარება; ○ სტუდენტთა თვითმმართველობის სტრატეგიული გეგმების შესაბამისად საუნივერსიტეტო ცხოვრების მოდიფიკაცია და თანმიმდევრული განვითარება;
  - ○ კარიერული განვითარების სამსახურის მეშვეობით დამსაქმებელთა ქსელის გაფართოება;
  - ○ უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის ჩართვა „ევროსტუდენტის“ მიერ განხორციელებულ აქტივობებში: კონფერენციებში, კვლევებსა და სხვა ქსელური პროექტებში;

- ინკლუზიური სტუდენტებისთვის გარემოპირობების მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- სტუდენტური პროექტების ინიცირება და ხელშეწყობა სოციალური პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ჩართულობის განვითარების კუთხით;

  სტუდენტთა ჰოლისტური კეთილდღეობის დანერგვა: ფიზიკური, მენტალური, სულიერი და ინტერ-პერსონალური ჯანმრთელობისა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების ამოქმედება;
- უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მენტორობის პროგრამის დანერგვა და განვითარება მათი საუნივერსიტეტო სივრცეში ეფექტური ნავიგაციის მიზნით;
- უცხოელი სტუდეტებისათვის და პირველკურსელი სტუდენტებისათვის „თანატოლი მენტორის“ ინსტიტუტის დანერგვა;
- უცხოელი და რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტი-ახალგაზრდობის ოჯახებში დაბინავების მექანიზმების შექმნა და კულტურის დანერგვა.

- სტრატეგიული მიმართულება: ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება

  - თანამედროვე ბიბლიოთეკის მშენებლობა, მოწყობა და განვითარება;
  - სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა; მისი სტანდარტებისა და საჭიროებების შესაბამისად აღჭურვა;
  - სტუდენტური საცხოვრებლის ინტერკულტურული დიალოგის ცენტრად ჩამოყალიბება;
  - საუნივერსიტეტო კლინიკის ინფრასტრუქტურის მოწყობა; ○ უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის განახლება და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა;
  - სპორტული დარბაზისა და სივრცეების მშენებლობა და აღჭურვა; ○ უნივერსიტეტის რეკრეაციული ზონის მოწყობა და პერმანენტული განახლება
  - უნივერსიტეტის შენობის მოდერნიზაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ყველა სივრცის ეტაპობრივი ადაპტირება სსსმ და შშმ პირების საჭიროებებზე;

- „კავაკსიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - თბილისის ზღვა“ საფეხმავლო გზის მშენებლობა
- კვლევისა და წარმოების ლაბორატორიები, საცდელი-საექსპერიმენტო მეურნეობების მოწყობა, ყურძნის ნარჩენების გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვა;

- სტრატეგიული მიმართულება: ქვეყანაში სამეწარმეო ეკოსისტემის მხარდაჭერა

    - ფაკულტეტების ჩართულობით, ზრდასრულთა განათლების პროგრამებისა და უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ბიზნეს ინკუბატორის მხარდაჭერით უნივერსიტეტი შესთავაზებს დაინტერესებულ სტუდენტებს მეწარმეობაზე დაფუძნებულ სწავლებას;
    - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბითა და მის ფარგლებს გარეთ მეწარმეობის განვითარებას;
    - ღვინის კვლევისა და წარმოების ლაბორატორიები, საცდელისაექსპერიმენტო მეურნეობები მეღვინეობაში, ყურძნის ნარჩენების გადამამუშავებელი ტექნოლოგიები და აღჭურვილობა ქმნის მატერიალურ ბაზას, რათა უწყვეტი პროცესი განხორციელდეს ზოგადად სწავლა/სწავლების, კვლევისა და მეწარმეობის მიზნით - განსაკუთრებით ქართული ღვინისა და მეღვინეობის მიმართულებით. ○ ღვინის მკვლევართა და მეწარმეთა საერთაშორისო კლუბის დაფუძნება; ○ მეწარმეებისთვის ვაზის, ღვინის დიაგნოსტირებისა და კონსულტაციის სერვისის ცენტრის შექმნა და ამოქმედება;
    - უწყვეტი განათლების ფარგლებში სხვადასხვა გრძელვადიანი სასერტიფიკატო და მოკლევადიანი სატრენინგო კურსების შექმნა და დანერგვა.